თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 27 თებერვალი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ანდღულაძე	–ქ. ქუთაისის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში გაფრინდაშვილის და დავით ჯანელიძის ქუჩების სავალი ნაწილების კაპ შეკეთების (ბეტონით), ბუხაიძის ქუჩიდან ,,ცხაკაიას" სახელობის სამედიცინო ცენტრთან მისასვლელი ახალი გზის მშენებლობის (დაწნეხილი ფილებით), ი. ჭავჭავაძის გამზირზე ,,მაგდონალდსა" და ახალ სავაჭრო ცენტრს შორის, რკინიგზის №2 სადგურთან მისასვლელი გზის (დაწნეხილი ფილებით) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა კოტე რატიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის (ქალაქ ქუთაისში გაფრინდაშვილის და დავით ჯანელიძის ქუჩების სავალი ნაწილების კაპ შეკეთების (ბეტონით), ბუხაიძის ქუჩიდან ,,ცხაკაიას" სახელობის სამედიცინო ცენტრთან მისასვლელი ახალი გზის მშენებლობის (დაწნეხილი ფილებით), ი. ჭავჭავაძის გამზირზე ,,მაგდონალდსა" და ახალ სავაჭრო ცენტრს შორის, რკინიგზის №2 სადგურთან მისასვლელი გზის (დაწნეხილი ფილებით) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ნოდარ მიქიაშვილმა.

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ ქალაქ ქუთაისში გაფრინდაშვილის და დავით ჯანელიძის ქუჩების სავალი ნაწილების კაპ შეკეთების (ბეტონით), ბუხაიძის ქუჩიდან ,,ცხაკაიას" სახელობის სამედიცინო ცენტრთან მისასვლელი ახალი გზის მშენებლობის

(დაწნეხილი ფილებით), ი. ჭავჭავაძის გამზირზე ,,მაგდონალდსა" და ახალ სავაჭრო ცენტრს შორის, რკინიგზის №2 სადგურთან მისასვლელი გზის (დაწნეხილი ფილებით) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

2. კონკურსი ჩატარდეს 2012 წლის 05 მარტს 12:00 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2012 წლის 05 მარტის 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: დავით ანდღულაძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე